

## შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი



### ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები:

ა) ბიბლიოთეკა პირველ რიგში განკუთვნილია საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და თანამშრომელთა მოხმარებისთვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის მოსურნე პიროვნება უნდა იყოს ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული.

ბ) საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება სწავლის პერიოდში ერთხელ. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის. საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.

გ) ადმინისტრაციული, პროფესიული მასწავლებლის და დამხმარე პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში. საზოგადოებრივი კოლეჯის პერსონალისათვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.

დ) წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები.

ე) ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა 2 კვირით

ვ) გატანილი მასალის, ან წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე (ორი კვირის გასვლა), მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ მკითხველს წიგნი კვლავაც სჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს (ისევ 2 კვირის ვადით), იმ შემთხვევაში, თუკი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.

ზ) წიგნის ან გატანილი მასალის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია 2 დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან ანაზღაუროს გატანილი წიგნის/მასალის საფასური.

**ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია:**

- ა) წიგნი სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დადოს თაროზე, ბიბლიოთეკის მენეჯერი თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე;
- ბ) წიგნის შენახვის სურვილის შემთხვევაში თხოვნით მიმართოს ბიბლიოთეკის მენეჯერს;

**ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია:**

- სადილობა ბიბლიოთეკაში; ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ქონა.
- მოწევა,
- ხმაური და საუბარი.
- მობილური ტელეფონების გამოყენება.
- წიგნის არასწორად დადება, მისი დამაღვის, ანუ სხვა სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელისშეშლის მიზნით.
- წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა.

აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკის მენეჯერი უფლებამოსილია დაუწესოს ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს და დააკისროს ჯარიმა, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დაგენილი ტარიფის შესაბამისად (ტარიფი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შედეგი მოჰყვა მომხმარებლის მიერ ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევას).

